



2017 წ. საშემოდგომო სეზონი

ფინალი

ორჩევ ევერესტს?  
ესე იგი ორჩევ  
ხარისხს!!!

სახელი, გვარი, ტელეფონი .....  
სკოლა .....  
მათემატიკის მასწავლებელი .....

1) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა სამი ერთმანეთის ტოლი ლუწი ორნიშნა რიცხვი, რომელთა ჯამია 36. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) როგორი რიცხვები დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?  
1) ლუწი ერთნიშნა      2) კენტი ერთნიშნა      3) კენტი ორნიშნა  
4) ლუწი სამნიშნა      5) ლუწი ორნიშნა

2) ბ) რას უდრის მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვების ჯამი?  
1) 32-ს      2) 34-ს      3) 36-ს      4) 72-ს      5) 108-ს

5) გ) რა რიცხვები დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?  
1) 30 და 6      2) 18 და 18      3) 6; 10 და 20      4) 13; 13 და 13      5) 12; 12 და 12

2) სანდრომ ტბას ხუთჯერ შემოუარა და გაჩერდა. მან კიდევ ორჯერ უნდა შემოუაროს ტბას, ამისათვის სანდროს 4 კილომეტრის გავლა მოუწევს. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენჯერ შემოუარა სანდრომ ტბას?  
1) ხუთჯერ      2) ოთხჯერ      3) სამჯერ      4) ორჯერ      5) ერთხელ

2) ბ) კიდევ რამდენი კილომეტრი უნდა გაიაროს სანდრომ?  
1) ორი      2) სამი      3) ოთხი      4) ხუთი      5) ექვსი

7) გ) რამდენი კილომეტრით ნაკლები დარჩა სანდროს გასავლელი, ვიდრე გაიარა?  
1) 16-ით      2) 12-ით      3) 8-ით      4) 6-ით      5) 4-ით

3) ლალიმ რვა შვიდეულს გამოაკლო უდიდესი ერთნიშნა ლუწი რიცხვი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენ შვიდეულს გამოაკლო ლალიმ უდიდესი ერთნიშნა ლუწი რიცხვი?  
1) 56-ს      2) 54-ს      3) 9-ს      4) 8-ს      5) 7-ს

5) ბ) რა რიცხვი გამოაკლო ლალიმ რვა შვიდეულს?  
1) 7      2) 8      3) 9      4) 10      5) 11

7) გ) რა რიცხვი მიიღო ლალიმ?  
1) 7      2) 46      3) 47      4) 48      5) 56

4) ბაბუას 21 ლარი ჰქონდა. მან 9 ლარიანი თოხი იყიდა, დარჩენილი თანხა კი თავის სამ შვილიშვილს თანაბრად გაუნაწილა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ა) რამდენი ლარი ჰქონდა ბაბუას?  
2) 21 ლარი

ბ) რამდენლარიანი თოხი იყიდა ბაბუამ?  
4) 9 ლარიანი

გ) თოხის ყიდვის შემდეგ რამდენი ლარი დარჩა ბაბუას?  
2) 12 ლარი

დ) რამდენი ლარი შეხვდა თითოეულ შვილიშვილს?  
4) 4 ლარი

5) როდესაც ლადო პაპამ თავის შვილებს 30 ჩურჩხელა თანაბრად გაუნაწილა, თითოეულს შეხვდა 5 ჩურჩხელა, ხოლო როდესაც მან თავის შვილიშვილებს თანაბრად გაუნაწილა 30 ჩურჩხელა, თითოეულს შეხვდა – 6. შვილები უფრო მეტი ჰყავს ლადო პაპას, თუ შვილიშვილები და რამდენით?

- 1) შვილები 1-ით მეტი ჰყავს
- 2) შვილიშვილები 1-ით მეტი ჰყავს
- 3) შვილები 5-ით მეტი ჰყავს
- 4) შვილიშვილები 6-ით მეტი ჰყავს
- 5) ერთნაირი რაოდენობით ჰყავს

6) თავდაპირველად ორ თეფშზე ერთნაირი რაოდენობის ვაშლები ეწყო. როდესაც ერთ-ერთ თეფშზე 2 ვაშლი დაამატეს, ორივე თეფშზე ერთად 10 ვაშლი აღმოჩნდა. რამდენი ვაშლი იდო თითოეულ თეფშზე თავდაპირველად?

- 1) ოთხი
- 2) ხუთი
- 3) ექვსი
- 4) შვიდი
- 5) რვა

7) ბებია თავისი ფულის ნახევარი უფროს შვილიშვილს მისცა, დარჩენილი ფულის ნახევარი კი უმცროს შვილიშვილს მისცა. ამის შემდეგ ბებიას 20 ლარი დარჩა. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?

- 1) ბებიას ფული აღარ დარჩა;
- 2) ბებიას 80 ლარი დარჩა;
- 3) ბებია შვილიშვილებს ერთნაირი რაოდენობის ფული მისცა;

4) ბებია უმცროს შვილიშვილს უფრო მეტი ფული მისცა, ვიდრე უფროს შვილიშვილს;

5) ბებია უფროს შვილიშვილს უფრო მეტი ფული მისცა, ვიდრე უმცროს შვილიშვილს.


8) სამშენებლო კომპანიამ ხუთსართულიანი სახლი ააშენა, რომლის თითოეული სართულის აშენებას ერთი და იგივე დრო მოაწოდება, გარდა პირველი სართულისა. პირველი სართულის აშენებას სამი დღით მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა სართულის აშენებას. რამდენ დღეში ააშენა სამშენებლო კომპანიამ ხუთსართულიანი სახლი, თუ ბოლო სართულის აშენებას 3 დღე დასჭირდა?

- 1) 9 დღეში
- 2) 12 დღეში
- 3) 15 დღეში
- 4) 18 დღეში
- 5) 21 დღეში

7 9 ნინომ მაღაზიაში თორმეტფურცლიანი რვეული იყიდა. მან ორი ფურცელი მთლიანად ნახატებით შეავსო. რვეულის დანარჩენ გვერდებზე ნინომ ამოცანები უნდა დაწეროს. რამდენი გვერდი დარჩა ნინოს ამოცანების დასაწერად?

- 1) 9                      2) 10                      3) 11                      4) 12                      5) 20

7 10 ნათიამ დახაზა სამკუთხედი, ნოდარმა კი – ოთხკუთხედი. ვანომ დასვა წერტილები: ზოგი სამკუთხედის შიგნით, ზოგი ოთხკუთხედის შიგნით, ზოგი კი – ფიგურების საზღვარზე (სურათი 1). ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?



(სურათი 1)

- სამკუთხედის საზღვარზე 5 წერტილია დასმული;
- ოთხკუთხედის საზღვარზე 1 წერტილია დასმული;
- სამკუთხედის შიგნით უფრო მეტი წერტილია დასმული, ვიდრე – ოთხკუთხედის შიგნით;
- სამკუთხედის გარეთ 6 წერტილია დასმული.

- 1) ერთი                      2) ორი                      3) სამი                      4) ოთხი                      5) არც ერთი


8 11 ნიკას 13 ცალი ასანთის ღერი ჰქონდა. მან ასანთის ღერები ერთმანეთს მიაწება (სურათი 2). მიწებებული ასანთის ღერებით ნიკამ სამნიშნა რიცხვების შედგენა დაიწყო. ყველაზე მეტი რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული სამნიშნა რიცხვის შედგენა შეუძლია ნიკას? (რიცხვები ერთმანეთს არ უნდა ეხებოდეს)



(სურათი 2)

- 1) 3                              2) 6                              3) 9                              4) 12                              5) 15

8 12 სახლი, მაღაზია, სკოლა და სასტუმრო ერთ სიგრძეზეა განლაგებული (სურათი 3). სკოლა, მაღაზიასა და სასტუმროს შორის ზუსტად შუაში მდებარეობს. სახლი, მაღაზიიდან 13 მეტრით არის დაშორებული, ხოლო სკოლიდან – 52 მეტრით. რა მანძილია სახლსა და სასტუმროს შორის?



(სურათი 3)

- 1) 117 მეტრი                      2) 111 მეტრი                      3) 91 მეტრი                      4) 81 მეტრი                      5) 78 მეტრი

10 13 მასწავლებელმა მაგიდაზე ჩხირები დააწყო. ნინომ და გიორგიმ გადათვალეს ჩხირები და თითოეულმა გამოთქვა თავისი აზრი: გიორგიმ თქვა – თუ მე ამ ჩხირებს სამ-სამად შეგვკრავ, მაშინ შესაკვრელი დარჩება ერთი ჩხირი. ნინომ თქვა – თუ მე ამ ჩხირებს ოთხ-ოთხად შეგვკრავ, მაშინ შესაკვრელი დარჩება ორი ჩხირი. ყველაზე ცოტა რამდენი ჩხირი შეიძლება დაედო მასწავლებელს მაგიდაზე?

- 1) 22                              2) 10                              3) 9                              4) 7                              5) 4

10 14 მაისური 7 ლარი ღირს, ის 1 ლარით იაფია ქუდზე. ხელთათმანი უფრო ნაკლები ღირს, ვიდრე მაისური და ქუდი ერთად. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?

- 1) ქუდი 9 ლარი ღირს                      2) ქუდი 6 ლარი ღირს                      3) ხელთათმანი 15 ლარი ღირს

4) ხელთათმანისა და მაისურის ფასი ერთად შეიძლება 22 ლარი იყოს

5) ხელთათმანისა და მაისურის ფასი ერთად შეიძლება 9 ლარი იყოს